

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N25, 22.08.2001, მუხ. 107) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის „წ“, ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წ) პოლიტიკური თანამდებობის პირი – ამ კანონის მიზნებისათვის, „საჯარო სამსახურის კოდექსით“ განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი, აგრეთვე მინისტრის მოადგილე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი და აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი.“

2. მე-18 მუხლის მე-4 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საქართველოს ცენტრალური, აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიების წევრები, მათი აპარატების თანამშრომლები და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, გარდა დამხმარე და შტაბგარეშე მოსამსახურეებისა, არიან საჯარო მოხელეები. მათზე ვრცელდება „საჯარო სამსახურის კოდექსის“ 109-ე მუხლის მე-16_მე-18 ნაწილებით, 110-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4 და მე-7 ნაწილებით დადგენილი საქმიანობის შეზღუდვისა და სამსახურებრივი შეუთავსებლობის მოთხოვნები. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეს უფლება არა აქვს იყოს სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს ან დაწესებულების მოსამსახურე.“

3. 21-ე მუხლის პირველი ნაწილის „ლ“, ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) საარჩევნო კანონმდებლობის, საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტის სისტემატურად ან უხეშად დარღვევისას, ან „საჯარო სამსახურის კოდექსით“ გათვალისწინებული სხვა შესაბამისი საფუძვლის არსებობისას.“

4. 27-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის, ამ მუხლის მე-4 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის კოდექსის“ 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა კონკურსის გამოცხადებიდან არა უგვიანეს 14 დღე.“

5. 33-ე მუხლის მე-6 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 21 წლიდან, რომელიც აკმაყოფილებს ამ კანონის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტის, ამ მუხლის მე-5 პუნქტისა და „საჯარო სამსახურის კოდექსის“ 39-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნებს. საკონკურსო საბუთების წარდგენის ვადაა;“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2008 წლის 1 იანვრიდან.